

# საქართველო

პროვინციული თავისუფლებების გზით - პროვინციული თავისუფლებებისაკენ  
პროვინციული თავისუფლებების გზით - პროვინციული თავისუფლებებისაკენ



ქრონოლოგიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი  
გამოდიოდა 1903-1905, 1915-1921 წ.წ. აღდგენილია 1989 წელს.

№ 15 (1453) 17-21 მაისი, 1996 წელი

## ვინ იყო ვინ?

მასალები საქართველოს ისტორიის  
მომავალი მემკვიდრისათვის

### 17 მნარკი შეკითხვა თენგიზ სიგუას

გადატრიალების დღეებში სად  
გეძინათ? არის აზრი, თითქოს  
თქვენ სამი ღამე რუსეთის  
ნაწილებში გაათიეთ. რა მიზნით?

→ მმ-3 გვ.



ან შენ მაშინ რა  
იცოდი,  
ანდა ქვეყნად ვინ  
იცოდა...

## გზადდება საქართველოს ახალი ღალატი

საქართველოს საზოგადოებრიობას ჩვენი ქვეყნის, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნებისა და რუსეთის ურთიერთობა ცოტა გამარტივებულად აქვს წარმოდგენილი, სახელდობრ ასე: დასავლეთმა თითქმის დაშალა „ბორცების იმპერია“ და დღეს დაგვირგვინებისკენ მიჰყავს ეს კეთილი საქმე. ჩვენ, ყოფილი კოლონიები და მათ შორის საქართველოც, მისთვის ბუნებრივი მოკავშირენი ვართ ამ საქმეში და ამიტომ იგი დაინტერესებულია, ჩვენ და ჩვენს თავისუფლებას დაგვეხმაროს. არსებითად ეს სწორია, მაგრამ ურთიერთობა უფრო რთულია, ვიდრე ჩანს. ერთი, რომ დემოკრატიული მსოფლიო თავისთვის თაბიძგური ტემპით მოქმედებს და იმოქმედებს, და არა ჩვენთვის თაბიძგურად. მეორეც, მისი ინტერესი დღეს ჯერ ბირთვული არსენალების გაუფრთხილება და მერე — ყოველივე სხვა; მესამეც, მსოფლიოს დემოკრატიულ ქვეყნებს თავ-თავისი ინტერესიც აქვთ, რომელიც მათ მრავალ შემთხვევაში ჩვენი ინტერესებისგან განსხვავებულ მოქმედებას უკარნახებს. არც დიდი საერთაშორისო ორგანიზაციები არიან ისე ერთმნიშვნელოვნად აწყობილი დემოკრატიისა და სამართლიანობის ზოგად ინტერესზე, როგორც ჩვენ გვინდა, მათში თავთავის როლს კერძო ინტერესიც და არც თუ იშვიათად ინტერესით დარჩენილი არასასიკეთო „წითელი“ გავლენაც თამაშობს. ჩვენ მოვდივართ მსოფლიოში, რომელშიც ჯერჯერობით არა ვართ, და ეს იმას ნიშნავს, რომ, თუ მასში ადგილის დაკვიდრება გვინდა, ყველამ ცოტ-ცოტა უნდა „ჩაიწიოს“, რათა ადგილი მოგვცეს — მტრმა და მოწინააღმდეგემ დიდად მეგობარმა კი ერთი მილიმეტრით ან ერთი მილიმეტრით მაინც. ამ პირობებში გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ჩვენი ქვეყნის ხელისუფლების სახელმწიფო უნარგაბრუნება მე-2

## მე-11-ე კლასელებს, აბიტურიენტებს! იკითხეთ ჩვენი გაზეთის მეხუთე გვერდი!

პრემიის  
ჯაღოქრები  
და ელცინის  
ღაქალი  
ჯუნა  
ღაგითაუპილი  
მე-4 გვ.





17 მწარე შეკითხვა ბატონ თენგიზ სიგუას

- 1. პოლიტიკურ ასპარეზზე თქვენი პიროვნება საკმაოდ გვიან გამოჩნდა...
2. 1990 წლის 28 ოქტომბრის არჩევნების დროს თქვენ იყავით ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე...
3. ოპოზიციურ მიტინგებზე, პრესაში, ხშირად ფიქსირდებოდა ის აზრი, რომ „მრგვალი მაგიდას“ გამარჯვებულსთანვე კი გახდით საქართველოს პრემიერ-მინისტრი...
4. როდის დაიწყო თქვენი და გამასხურდიას პირადი და პოლიტიკური ურთიერთობა...
5. გამასხურდიას წინააღმდეგ ბრძოლის საფუძველი იყო თუ არა პირადი განაწილება იმის გამო, რომ გამასხურდია ადარ გთვლიდათ თავისი გუნდის წევრად?
6. თქვენ ხშირად გითქვამთ, რომ 1991 წლის 21 დეკემბერს პირველი გახიროლეს ოპოზიციის წინააღმდეგ მთავრობის სასახლიდან...
7. დეკემბერ-იანვრის ბრძოლების დროს გემორჩილებოდნენ თუ არა კიტოვანი და იოსელიანი?
8. არის აზრი იმის შესახებ, რომ გადატრიალება მოეწყო მოსკოვის შეკვეთით...
9. გადატრიალების დღეებში სად გეძინათ?
10. გამარჯვებდნენ თუ არა რუსები იარაღით და ამასვე სწადიოდნენ თუ არა სამთავრობო გვარდიის მიმართაც?
11. თქვენი ერთ-ერთი ინტერვიუს მიხედვით გამასხურდია ბუნებრივად 6 იანვრის დღით გაუშვეს...
12. თვლით თუ არა, რომ იარაღის ძალით კანონიერი ხელისუფლების დამხობა, თუნდაც ერთგული მიზანი გქონდათ...
13. თქვენ გამასხურდიას ხელისუფლებისა და შევარდნაძის ხელისუფლების დროს იყავით პრემიერ-მინისტრი...
14. თქვენ გონიერი და ინტელიგენტი პიროვნება ბრძანდებით...
15. თქვენ ებრძოდით ერთგული ბანკის ყოფილი პრეზიდენტის დემურ დგლიშვილის ე.წ. ლიბერალურ ფულად-საკრედიტო პოლიტიკას...
16. ბატონო თენგიზ, თქვენ ავტორულად ხელისუფლებაში მუშაობის დღი გამოცდილება გაქვთ...
17. „გაგახადეთ“ თუ არა ბერძნული „ჩააცვიტ“ თქვენი ხელისუფლებიდან წასვლის შემდეგ...

რედაქციისათვის: ბატონ თენგიზ სიგუას, როდესაც ეს კითხვები გადაეცემა, ბუნებრივია ერთგვარად, გაგულსებული კაცის პასუხს ველოდით... ამდენად, უფრო გათამამებულებმა, შესაძლოა მას სხვა მწვავე კითხვებიც მივაწოდოთ...

პაი, ჩვენი ქართველის გულში ვზეიომოვით რუსეთის ჯარის სიზბით შეიშავს 75-ე წლისთავს!!!

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების განცხადება

ილია ჭავჭავაძის საზოგადოების უკიდურეს აღშფოთებას იწვევს ა.წ. 18-22 მაისის საქართველოს ტერიტორიაზე დაგეგმილი ღონისძიება... ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წინაპარლამენტარული მიზნების განხორციელების მიზნით...

მეორე საქართველოს ოკუპაციის ფაქტი. de jure დამოუკიდებელი საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება კი, როგორც ჩანს, ამ ოკუპაციის საზიზღო მოვლენად განიხილავს... ილია ჭავჭავაძის საზოგადოება მტკიცე პროტესტს უცხადებს...

- თბილისი, 15.05.1996 წ.
განცხადების ტექსტის შემოღებამ:
„საქ.ნაციონალისტური პარტია — ზ.ვაშაძემძე
საზოგადოება „ჭავჭავაძის გული“ — ვ.პირუცაძე
საქ. აბრარული პარტია — როინ ლიპარტიანი
ირაკლი წამბეთელი, გურამ გომბაიძე, ნოდარ ნათაძე
სრულიად საქ.მ.წ. კავშირი — ჯ.გიქელიაძე
საქ. ეროვნული პარტია — კონსტანტინე გუგულაშვილი

მეანაბრები ქუჩაში დარჩნენ, ბანკის მმართველი ციხეშია, ფულის დამბრუნებელი ვინ არის?

ყველას ახსოვს (ზოგიერთს კი საკმაოდ მწარედაც) საქართველოში მიმდინარე კომერციული ბანკების „ბუმი“. გაფაციცებული მოქალაქეები „მომგებიან“ ბანკებს ეძებდნენ მეტი პროცენტის ასაღებად... ამას რაც მოჰყვა, ყველამ კარგად იცის. მრავალი კომერციული ბანკის მმართველი...

არ უნდა აღემატებოდეს 72 საათს, ხოლო ბრალდებულის წინასწარი პატიმრობა 9 თვეს. მელთაუფის პატიმრობის ვადა ამოიწურა 1995 წლის მაისში... დასრულდა მისი მიმართ აღმკვეთი ღონისძიება შეცვლილი იქნა იმ მოტივით, რომ ჭობლაშვილი ხანგრძლივად დროით პატიმრობაში იმყოფებოდა...

ბ. ივოზნილი









# ყველანი მიტინგზე! გგონი არ დაგვარებენ!..

საქართველოს ეროვნული განმანათლებლებელი მოძრაობის საორგანიზაციო კომიტეტის განცხადება

საქართველოს ეროვნული განმანათლებლებელი მოძრაობის საორგანიზაციო კომიტეტი აქტიურად უჭერს მხარს 1996 წლის 26 მაისს საქართველოს ეროვნულ-პატრიოტული ძალების მიერ ერთობლივი პოლიტიკური ღონისძიების ჩატარებას და მოუწოდებს საქართველოს ყველა მოქალაქეს და პოლიტიკურ ძალას შეიკრიბოს დღის 2 საათზე საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად, ეროვნული გმირის მერაბ კოსტავას ეზოში.

## კრეატივის ჯადოქრები და ელსინის დაქალი ჯუნა დავითაშვილი

მეოთხე გვერდიდან

იაბონური სექტის წარმომადგენლებს იღებდა, არამედ იმიტომ, რომ იგი „ოუდეურ-მესიანური შეთქმულების“ მონაწილედ დასახეს. იგი იქცა მოლაღატედ, რომელმაც „იმპერია უცხოელებს გადაულოცა“. და კიდევ, ყოველივე ამის გარდა, თავის ქალაზე „ემშაკის დაღს“ ატარებდა.

კომუნისმთან ერთად, რუსეთში, ხატების ადგილი წარმართულმა კერებმა დაიკავეს. პირველ ხანებში, „ენკავდეზე“ მე-13-ზე — ანუ ეშმაკის განყოფილება, სდევნის, აპატირებს და იმპერიის განაპირას ასახლებს მღვდელმსახურებს, ჯადოქრებს, გრძნეულებს და შამანებს. მაგრამ, რადგანაც მმართველი იდეოლოგია კოლექტიურ ჰიპნოზს ემყარება, ბერია მდებარეობის და „ჯადოქრებს“ კრემლში აბრუნებს. სტალინი კეთილი თვალით უყურებს ჰიპნოზიორსა და ნათელმჭერტელ ვოლგ მე-სინგს. მას კონსულტაციასაც კი სთხოვენ გერმანიისა და საბჭოთა კავშირის შორის დადებული ხელშეკრულების თაობაზე: „მე ვხედავ წითელვარსკვლავიან ტანკებს ზერლინის ქუჩებში. საბჭოთა კავშირის გამარჯვება გარდაუვალია“. მაშ, თუ ასეა, შეტყევეზე!!! კუბის კრიზისის დროს, ხრუშჩოვის მრჩეველები ისევ მესინგის კარებს მიადგნენ: მსოფლიო ომი ხომ არ გვემუქრება, ამხანაგო? იმან — ვინც ყოველივეს — ჰერეტს დაძაბულობის შენელება იწინასწარმეტყველა. პოლიტიკურად მ ბით ამოისუნთქა.

ბრეჟნევიდან მოყოლებული, რომელიც ახალგაზრდობის ელექსირს ითხოვდა და ჯუნას „მაგნიტური მასალების“ იმედი ჰქონდა, ანდროპოვით დამთავრებული,



რომელსაც მშვიდ ძილს უფრთხობდა მფრინავი თევზების შიში, ეს ეშმაკისეული ვოდვეილი ამითაც არ შეწყვეტილა. დღესდღეობითაც ასეა! ჯუნა ელსინის დაქალია: მისი ხელდასმით ელსინი „ასირიელთა საზოგადოების წევრი“ გახდა. ელსინმა კი ჯუნას ორდენი გადასცა, „ალტერნატიულ მეცნიერებაში დიდი დამსახურებისათვის“. „ენერგეტიკული ტალღის“ იმედით, ჯუნა დეკემბრის არჩევნებზეც წარსდგა, თავისი საკუთარი პარტიითა და პროგრამით. მარცხი მართლაც რომ კოსმიური ხასიათისა იყო.

ელიზიუს ბომეის დღევანდელი განსახიერება, გენერალი როგოზინი უფრო სერიოზული საქმეებითაა დაკავებული. КГБ-მ მას დაავალა ჩაეშალა ამერიკის სადაზვერვო სააგენტოს მიერ წამოწყებული მასშტაბური ოპერაცია. მერილენდის შტატის ერთ-ერთ სამხედრო ცენტრში გამოკვეტილ 16 მედიუმს საბჭოთა მზვერავები უნდა გამოეყვანა სამზეოზე. დღეს, კრემლის ამ ნეკრომანზე „მოსკოვსკიე ნოვოსტი“ წერს: „როგოზინი ხელეობით კურნავს სნეულებებს

საქართველოს განათლების მინისტრს ბატონ თამაზ კვაჭანტირაძეს პროფესორ ბ.მამულას ყოფილ პრეზიერ — მინისტრს ო.შაცაციას და სხვა ბატონებს, მისი ინიციატივითაც ჩვენს დედაქალაქში ბაიხსნა სულეიმან დემირელის სახელობის კოლეჯი


იმასთან დაკავშირებით, რომ ჩვენს დედაქალაქში გაიხსნა ქართველი ახალგაზრდობის თურქული კულტურის და განათლების საზიარებლად თურქეთის პრეზიდენტის ს.დემირელის სახელობის თურქული კოლეჯი, ეთხოვოს თურქეთის რესპუბლიკის შესაბამის კომპეტენტურ ორგანოებს გაიხსნას თურქეთის დედაქალაქ ანკარაში და სხვა ქალაქებში ართვინში, ტრაპიზონში (ლაზეთში, ტაო-კლარჯეთში) ედუარდ შევარდნაძის სახელობის ქართული კოლეჯი თურქი და ქართველი ახალგაზრდობისათვის ქართული კულტურის გასაცნობად.

ბანმცხადებელი ჯემალ ზოლოკაძე

## მე-11-ე კლასის მოსწავლეების აბიტურიენტებისა და ქართული ლიტერატურის მასწავლებელთა საყურადღებოდ!

თბილისის საგაზეთო ჯიხურებში იყიდება ნოდარ გრიგალაშვილის წიგნი „ნიკოლორთქიფანიძე“, რომელშიც წარმოდგენილია მწერლის ბიოგრაფია და განხილულია ნიკოლორთქიფანიძის საპროგრამო ნაწარმოებები.

**წიგნის ფასია 1 ლარი**



თარაზულად: 2. ინგლისელი პოეტი, კრიტიკოსი; 5. ადამიანის მიერ საიქიოსთან კავშირის დამყარების შესაძლებლობის რწმენა; 7. ებრაელი კამერული გუნდი; 9. ცნობილი ქართველი მოჭიდავე; 10. აკაკი კვანტალიანის გერანული სახე; 11. სამხედრო სკოლის მოსწავლე; 12. ქრისტიანული დღესასწაული; 13. ინდოეთის სახელმწიფო ენა; 14. თურქული პირის უფლების მქონე საგაბრო საწარმო, რომლის მარკითაც იყიდება საქონელი; 16. ფრანგი მწერალი, რომლის რომანი „იზა“ ქართულად თარგმნა იტაგვაძემ; 19. პოლონეთის სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე; 22. საქართველოში 1832 წლის ანტიკოლონიური შეთქმულების აქტიური მონაწილე; 23. ახალგაზრდული პრობლემებისადმი მიძღვნილი ფილმი ალექო ცაბაძისა; 24. რაპსო მხიკვაძის გერანული სახე; 25. საქონელზე ფასამოკლება მუდმივი პარტნიორისათვის, რომელიც ბითუბად ყიდულობს; 26. ციტრუსოვანი მცენარე; 27. ტენისის სისხლის მიმოქცევის მკვეთრი დარღვევა.

შვებულად: 1. ნორვეგიელი მოგზაური და მწერალი; 2. ჯარის რჩეული ნაწილი; 3. მდინარე, რომელშიც მოინათლა იესო ქრისტე; 4. მცირე არაი; 5. ქართველი — იტალიის ეროვნული გმირი; 6. დაშა თაბუკაშვილის პიესა; 7. ნადირობის ქალღვთაება ქართულ მითოლოგიაში; 8. ქართველი მრეწველი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი; 15. 1921 წლის თებერვალში წითელ ურდოებთან საქართველოს დასაცავად გამართულ ბრძოლაში დაღუპული სათნოების და; 16. ქართველი პოეტი და დიპლომატი; 17. იტალიელი კომპოზიტორი, ავტორი ოპერისა „სოფლის პატრონება“; 18. ჯარის გადასხმა მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე; 20. დომში მოხარული და ჩახელილი სულგური; 21. საფრანგეთის პროპიტდერული ფაზისტური რეჟიმის სახელწოდება.

»**აქაზა მუტი**  
რა მუტა,  
**ხაჭუნე ტომი**  
**ხემატყუიბოსა**  
**საზოგადოებას**  
**«სტალინი»**  
**დაპარქში»**

ეს სიტყვები საარჩევნო კომპანიის დროს უბრძანებია ბ-ნ გრიგოლ ონიანს. მართალია, ახლა იტყვიან, „როგორ გეკადრებთ, ეგ მე არ მითქვამსო“, მაგრამ... უთქვამს თუ არ უთქვამს, ეს ფრაზა არც ისე შორსაა ლენინურ-სტალინური სინდისისაგან.

როგორც საზოგადოება „სტალინის“ ხელმძღვანელმა ბრძანა, მასაც, როგორც ილია იტყვიან, „ლობიდან გამოუხედავს“ და ირანი უნახავს. გულზე მოხვედრია ამ ქვეყნის კარჩაკეტილობა და სამომავლო საგარეო პოლიტიკა ჩვენი ქვეყნისა ასე დაუსახავს: „მევეცდები ავხსნა ბორკილები (საქართველოს) და მივეწვებოთ რომელიმე ევროპულ ქვეყანას“.

ყველაფერი ეს კარგი და პატიოსანი, ბ-ნ გრიგოლს და მის თანამოაზრეთ (მისი თქმით, ისინი 65 ათასნი არიან) ერთი დარდი რომ არ აწუხებდეთ. ვერ წარსდგენ საქართველოს გაერთიანებული კომუნისტური პარტიის წარმომადგენლები ღირსეულად რუსეთის კომპარტიის და თავად ზიუგანოვის წინაშე. „პანტელეიმონა“ (ე.ი. პანტელეიმონ გიორგაძეს და „ვილგელმა“ (სამწუხაროდ, გვარი არ იყო ხსენებული) რა გასაშვები იყვნენო — წუხდა ბ-ნი გრიგოლი.

იმედი კი ყველაზე ბოლოს კვდება... შაბათს პლენუმია და იქნებ „საღმა“ აზრმა გაიმარჯვოს. თუ ეს ასე არ მოხდა, თავად ბატონი გრიგოლი აპირებს ანტიკომუნისტური პარტიის ჩამოყალიბებას. დაველოდოთ მოვლენებს.

**საქართველო**  
**ჩვენი**  
**მკითხველებისათვის**  
**„საქართველოს“**  
**რეკლამა არ**  
**სჭირდება. მხოლოდ**  
**გაცნობებთ, რომ**  
**მიმდინარეობს**  
**ხელმოწერა გაზეთ**  
**„საქართველოზე“**  
**საქართველო**